პროლეტარელებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 264 (19705) ოთხშაბათი, 19 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ძრონიკა

## სუთნლედის ორი წლის გეგმა — ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

ეროვნული მეურნეობა

## არც ერთი ჩამორჩენილი

**ზესტაფონი.** (სკ. კორ.). 102,4 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის 10 თვის სახელმწიფო გეგმა ზესტაფონის რაიონის მრეწველობამ. გეგმის გადამეტებით დამზადდა 4 მილიონ 851 ათასი მანეთის პროდუქცია. რეალიზებულია გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი ნაწარმი.

პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა შეასრულა რაიონის ყველა სამრეწველო საწარმომ.

კარგად იშრომეს ფეროშენადნობთა, „საქკაბელის“, შორაპნის ავტო- [illegible] „ელექტროელემენტების“, ხილის წყლებისა და საკონსერვო ქარხნების, აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

## გაფართოვდა ასორტიმენტი

**დამთავრდა** გულრიფშის რაიონის სამრეწველო კომბინატის სამკერვალო, საგალანტერეო და [illegible] მშენებლობა. რამდენიმე წლის წინათ კომბინატი მხოლოდ 100 ათასი მანეთის განსაზღვრული ასორტიმენტის პროდუქციის უშვებდა. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა, მკვეთრად გაიზარდა წარმოების მოცულობა და გაფართოვდა ასორტიმენტი. ახლა აქ 2 მილიონი მანეთის ათობით დასახელების პროდუქციას ამზადებენ, მომავალი წლიდან ეს ციფრი კვლავ გაიზრდება და 2,5 მილიონ მანეთს მიაღწევს, ხუთწლედის დამლევისთვის კი 3 მილიონს გადააჭარბებს.

საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, და ეს ხელს უწყობს რეალიზაციის გეგმების შესრულებას. ოქტომბერში პროდუქციის თვითღირებულება ერთი პროცენტით შემცირდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 4 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია კომბინატის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 108 პროცენტით, ხოლო მისი რეალიზაციისა — 113 პროცენტით შესრულდა. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 210 ათასი მანეთის პროდუქცია გაეგზავნა.

საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის თავი გამოიჩინეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გ. სოსელია, გ. ქალდანი ხელმძღვანელობენ.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ სკ. კორ.

## მეცხოველეთა ნობათი

**სულ** ორიოდე წლის წინათ სხვა დარგებთან ერთად სიღნაღის რაიონში მეძროხეობაც ჩამორჩებოდა. ფურის საშუალო წველადობა 1977 წელთან შედარებით 1787 კილოგრამიდან 1983 წელს 1352 კილოგრამამდე შემცირდა. ბოლო წლებში რაიონის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ ქმედითი ღონისძიებები დასახეს ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

საქმისადმი მზრუნველმა დამოკიდებულებამ მალე გამოიღო ნაყოფი. სამ წელიწადში ფურის საშუალო წველადობა თითქმის 400 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო რაიონში რძის წარმოება — 122 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 10 თვის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით. წლიური გეგმები უკვე გადაჭარბებთ შეასრულეს ნუკრიანის „ლენინის ანდერძის“, ბოდბის ორკონიკიძის სახელობის, ქვემო მაჩხაანის და სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონის მეძროხეთა ვალდებულებაა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 1986 წლის გეგმა 11 თვეში, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

**ლ. ბეგიაშვილი.**
„კომუნისტის“ კორ.

## ამზადებენ ბოსტნეულს

**თერჯოლის** რაიონის ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის მშრომელებმა ვადაზე ადრე, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება. ნაცვლად 972 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.096 ტონაზე მეტი ბოსტნეული. ახლა ქვედასიმონეთელები იბრძვიან იმისათვის, რომ წლის ბოლომდე კიდევ ბევრი ბოსტნეული მიჰყიდონ სახელმწიფოს.

ბოსტნეულის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ადრეთვე ჩხარის ირუსთაველის, საზანოს 26 კომისრისა და თუზის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობების მებოსტნეებმა.

**ვ. კუტალაძე.**
„კომუნისტის“ კორ.

# სამეურნეო წელს, სოფლის მშრომელებო?

**ს**ესეი კითხვით მივმართავთ სოფლის მშრომელებს, მაგრამ უწინარესად ეს ეხება საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კოშენისტებს, აქტივს. მართლაც სულ მალე დაზამთრდება. როგორ მოემზადნენ საზოგადოებრივი მეურნეობები ამ მეტად პასუხსაგები პერიოდისათვის? ზამთარი სოფლად მარტო პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების მზადყოფნას როდი შეამოწმებს. ზამთარი მკაცრი გამომცდელი და მომკითხველი იქნება მემანდვრეებისათვის, მებაღეებისათვის, მებოსტნეებისათვის, მექანიზატორებისათვის, ყველასათვის, ვისაც კი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან აქვს საქმე.

და მაინც ზამთარი უწინარესად მეცხოველეთა დიდი გამოცდაა.

სულ ახლახან გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც მთელი სიგრძე-სიგანით განიხილა და მიიღო სათანადო დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. პირუტყვის საკვები, ბაზის განმტკიცება, თითოეული ჰექტარი მინდვრის უკუგების გადიდება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მივაღწიოთ მემცენარეობის პროდუქციის, უწინარესად, მარცვლეული და საკვები კულტურების მყარ წარმოებას — ნიშნავს მტკიცე ნაბიჯი გადავდგათ მეცხოველეობის სტაბილური განვითარების, საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლის ზრდის, მათი ეკონომიკის გაღონიერების გზაზე. ამავე დროს, როგორც პლენუმზე ანალიზმა ცხადყო, დარგი ბოლო წლებში სათანადო ტემპით არ ვითარდება, სრულად ვერ ვიყენებთ მასში არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებს. მეცხოველეობის განვითარებისათვის, პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდისათვის მთავარი რომ მყარი საკვები ბაზაა, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობანი საკმაო ყუათიან საკვებს ვერ იმარაგებენ და ზამთარში, რომ იტყვიან, კარდაკარ დაეძებენ საკვებს, რათა როგორმე გადაარჩინონ პირუტყვი. ცხადია, ასეთ მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაიაფებასა და, მით უმეტეს, გადიდებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

წითელწყაროს რაიონმა წელს 85.000 ტონა უხეში საკვები უნდა დაამზადოს. 10 ნოემბრისათვის დავალება 77 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ხოლო გეგეჭკორის რაიონს — 73 პროცენტით, 14.700 ტონის ნაცვლად მომარაგებული აქვთ 10.659 ტონა. ამ და ზოგიერთი სხვა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს უნდა შევახსენოთ, რომ საკვების მომარაგებისათვის თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. ახლა საქმე ისე უნდა შოვაწყოთ, რომ დაზამთრებამდე სამყოფად მოვიმარაგოთ ყოველგვარი საკვები. არც ის უნდა დავკვიწყდეს, რომ პირუტყვის სადგომი ბინები დათბუნებული იყოს და იქ იდეალური სანიტარიული მდგომარეობა გვქონდეს.

მინდვრის დროულად განთავისუფლება მომდევნო სამუშაოების — ხვნა-თესვის წინ წაგდებას ნიშნავს და საგაზო მოსავლის სიუხვის გარანტიას იძლევა. ამიტომაც მინდორში, სადაც დროულად აიღეს თავთავიანებისა და სიმინდის მოსავალი, იქ ხვნაც და საშემოდგომო თესვაც აგროვადებში დაამთავრეს. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს სიღნაღელ მემინდვრეთა და მექანიზატორთა გარჯა: აქ მემინდვრეები მესამე წელია იჯარული მეთოდით მუშაობენ და წარმატებასაც აღწევენ. წელს მათ აწარმოეს 38.500 ტონა მარცვალი, ხოლო სახელმწიფოს 7.010 ტონის ნაცვლად 8.724 ტონა მიჰყიდეს. სამომავლო მოსავლის სიუხვესაც დროულად ჩაუყარეს საფუძველი. მკის დამთავრებისთანავე მხვნელ-მთესველებმა საგულდაგულოდ მოამზადეს ნიადაგი და აგროვადებში დაამთავრეს საშემოდგომო თესვა, ნაცვლად 18.895 ჰექტარისა თავთავიანები დათესილია 21.095 ჰექტარზე. საერთოდ რესპუბლიკაში თესვის დავალება ნოემბრის მეორე დეკადისათვის 100,1 პროცენტით არის შესრულებული. ეს ურიგო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ არც დამშვიდების უფლებას გვაძლევს, რადგან ზოგან თესვა არ დაუმთავრებიათ. ახლა მთავარია ნათესებს ყურადღება და მოვლა-პატრონობა არ მოვაკლოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა საშუალო დროულად და აგროტექნოლოგიით გათვალისწინებულ ვადებში შევასრულოთ.

შემოდგომის ეს დღეები ჭირნახულის დასაბინავებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ბოსტნეული, ხილი, ციტრუსები, ჭარხალი დროულად უნდა ავიღოთ, მოვკრიფოთ, გასაყიდი გავყიდოთ, შესანახი ტექნოლოგიური წესების ზუსტად დაცვით შევინახოთ. კახეთის, ქართლის ვენახებსა და ბაღებში კარგმა მეურნეებმა თადარიგი დროულად დაიჭირეს და რთველის დამთავრებისთანავე მწკრივთაშორის მიწის დამუშავებას შეუდგნენ. მეციტრუსეები ახლა დაძაბულად შრომობენ. შათი საპატიო ვალია დროზე მოკრიფონ ნაყოფი, გაათავისუფლონ ბაღები, რათა აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები.

დაზამთრებამდეც და ზამთრის დროსაც მექანიზატორებს მოცლა არა აქვთ. მანქანები ყოველთვის გამართული რომ იყოს, ამისათვის დიდი მუყაითი და საზრიანი შრომა უწევთ. მანქანა კი დღეს სოფლად ყველაფერს ნიშნავს. ვინც კარგად უვლის მანქანებს და გონიერულად იყენებს, იმას უხვი მოსავლის მიღების გარანტია ხელთა აქვს და პროდუქტებიც იაფი უჯდება. კარგი თაოსნობა წამოიწყეს მცხეთის რაიონში — ნიადაგის დასამუშავებელი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტისათვის ზრუნვა იკისრეს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შექმნილი ერთიანი საინჟინრო სამსახურის მუშაკებმა. აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით ეს სამსახური პასუხს აგებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობის, გამოყენების, რემონტისა და მომსახურებისათვის. სპეციალიზებული ქვეგანყოფილების შემადგენლობაშია ტექნიკური გაცვლითი პუნქტი, დიაგნოსტიკის, კონტროლისა და საგარანტიო მომსახურების ჯგუფები. ისინი აკონტროლებენ მექანიზმების ტექნიკურ მდგომარეობას და ექსპლოატაციის წესების დაცვას, ადგენენ რემონტის, სათადარიგო ნაწილების კვანძებისა და აგრეგატების შეკეთების გეგმა-გრაფიკს. ასეთ პირობებში სოფლის მექანიზატორთა პარტნიორები უფრო მეტად არიან დაინტერესებული იმით, რომ ტექნიკა მეურნეობებში შეუფერხებლად შუამაობდს. საინჟინრო სამსახურის მეოხებით წელს მოსავალი უფრო ორგანიზებულად აიღეს, ვიდრე წინათ, თითქმის 1,5-ჯერ შემცირდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოცდენა დეფექტების ან უწესრიგობის გამო. მცხეთელთა გამოცდილება საინტერესოა და მას დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდონ და გადაიღონ სხვა სასოფლო რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა.

იყო მიწის, შენი მარჩენალი მიწის ბატონ-პატრონი, იმას ნიშნავს, რომ დღენიადაგ ზრუნვადე ნიადაგის მაღალნაყოფიერებისათვის, უელიდე ისე, რომ ყოველწლიურად სტაბილურ მოსავალს იღებდე. ამ ხელოვნ პარტიის სასოფლო რაიკომებსა და აგროსამრეწველო გაერთიანებათა შეთანხმებული მუშაობით შეიძლება გამოიყენებული რეზერვების, შრომითი რესურსების სიუხვის სამსახურში ჩაყენება. ეს კი შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, სოფლად აგრარული პოლიტიკის სწორად, განუხრელად განხორციელებით, როგორც ამას მოითხოვს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. კონკრეტულად სადღეისო საზრუნავი ის არის, რომ დაზამთრებამდე ყველ სამუშაო დროულად შევასრულოთ, წარმატებით დავამთავროთ შეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი, საპატო წელილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განუხრელი განხორციელების საქმეში. ამისათვის კი საჭიროა ყველას — როგორც ხელმძღვანელის, ისე რიგითი მუშაკის—დაძაბული, საზრიანი შრომა და კიდევ შრომა!

# სამეზობლოს აქვანვეგისათვის

### სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

**თავიანთი** ნების გამოხატულებად აღიქვამენ საბჭოთა ადამიანები პარტიის მიერ შემუშავებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს. ახლა თითოეული საბჭოთა ადამიანის აქტიური პოზიცია განსაზღვრავს ამ დაჩქარებას, ჩვენი გეგმების რეალურობას, წარმატებას საქმისა, რომელსაც ისტორიული შედეგები ექნება ჩვენი სამშობლოსათვის, მსოფლიოში მისი როლისათვის. მხოლოდ მასების თავდადებული შრომით, ინიციატივით და შემოქმედებით განხორციელდება განახლებისა და აღმშენებლობის კურსი.

ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობით განიხილავენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზებს ხალხის რჩეულნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ისინი აღნიშნავენ, რომ ცხოვრების ყველა სფეროში არ ხორციელდება აქტიურად ახალზე გადასვლა, და კონკრეტულ წინადადებებს აყენებენ თვისებრივი გარდატეხის შესახებ, სახავენ ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი სტრატეგიული ფაქტორების გამოყენების გზებს.

## ეროვნებათა საბჭოში

**17 ნოემბერს,** 17 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ვ. მ. ჩებრიკოვს, ა. პ. ბირიუკოვას, ვ. პ. ნიკონოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა **ა. ე. ვოსის** თავმჯდომარეობით.

ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენება წაიკითხა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ო. ს. მორშუნოვმა.** მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პალატის სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს პალატის ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში.

## ეროვნებათა საბჭოს პალატის მუდმივი კომისიები

**ეკონომიკური კომისია**

**ბ. ბ. ბოროვოი** (ალმა-ათა), **ბ. ბ. ბოროდინი** (ბაკინსკი), **ბ. ბ. ბოროდინი** (ბაკინსკი), **ბ. ბ. ბოროდინი** (ბაკინსკი

# დეპუტატ მ. ი. ბერძენიშვილის სიტყვა

## (ლენინგორის საარჩევნო ოლქი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)

**ამხანაგო** დეპუტატებო! კოსმოსისა და ატომის ეპოქა ადამიანს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ანიჭებს, მაგრამ ბოროტი ძალები ცდილობენ შეცნიერების მონაპოვარნი ადამიანთა კეთილდღეობას კი არ მოახმარონ, პირიქით, მთელი კაცობრობის მომავლის საზიანოდ გამოიყენონ. კაცობრიობის ისტორიაში უცხო როდია ბოროტი საწყისის არსებობა. მეორე მსოფლიო ომის თესლიც ხომ ბოროტებისა და დამნაშავეობის ნიადაგზე აღმოცენდა. ფაშიზმს შეეძლო მოესრა ყოველივე ცოცხალი, მას წინ რომ არ აღდგომოდა მთელი საბჭოთა ხალხი, ასეთი გმირობა და ვაჟკაცობა რომ არ გამოეჩინა საბჭოთა არმიას, რომელმაც თავისივე ბუნაგში გაანადგურა მტერი.

დედებს ჯერ კიდევ არ შეშრობიათ ომში განცდილი უბედურების ცრემლი, და კაცობრიობა ახალი კატასტროფის საფრთხის წინაშე დგას. ჩვენმა ქვეყანამ დაამხო ფაშიზმი, მსხვერპლად გაიღო მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე, რომელთა ხსოვნის ნიშნად მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. საბჭოთა ხალხი სამშვიდობოდ მოუწოდებს მთელ კაცობრიობას. მან კარგად იცის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს უგუნურ გამალებულ შეიარაღებას.

დღეს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დასამკვიდრებლად არ არის საკმარისი მარტოოდენ უბრალო ჭვრეტა. როგორც მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვმა აღნიშნა, მსოფლიო ყველა ქვეყნის, უწინარესად კი დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, სიმტკიცეს, საშიშ ტენდენციათა წინააღდგომის უნარს. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვჯერა, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ხელოვნთა გრანდიოზული წვლილი შეაქვთ ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების საქმეში. ისინი პლანეტის მკვიდრთა უნერგავენ სიკეთის, მშვენიერებისა და თანხმობის ცნებებს. როდესაც ადამიანი ამაღლებულია, როდესაც მან იცის, რა არის სიკეთე, სიყვარული, პატრიოტიზმი, იცის მშვენიერების ყადრი, — მაშინ მან ყოფიერების არსი და მიზანიც იცის.

დიდი მიღწევები აქვს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. პირველად მიენიჭა ქართველი მწერლის რომანს ლენინური პრემია, სამ მწერალს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ინტენსიურად ვითარდება აფხაზური და ოსური ლიტერატურა. საქართველოს მწერალთა კავშირის შემადგენლობაში შედიან რუსული, სომხური, აზერბაიჯანული სექციები და ქართველ ჯგუფი. ეს ნათლად მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა თეატრმა და კინომ. თეატრალური ხელოვნების მიღწევებს მეეკვირეტყველად მოწმობს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ტრიუმფული გასტროლები ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. სასიხარულოა, რომ მხატვრულ ფილმს „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ლენინური პრემია მიენიჭა, ხოლო კინოსურათს „ცისფერი მთები“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა. ყოველივე ეს კანონიერ სიამაყეს იწვევს.

დიდი მუშაობაა გაწეული სამუსიკო კულტურის დონის ასამაღლებლად. მაღალი შეფასება დაიმსახურეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოსკოვის საგასტროლო გამოსვლებმა. კვლავინდებურად დიდ ინტერესს იწვევს რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მიმდინარე მუსიკალური ფესტივალები. ქართველ კომპოზიტორთა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართულმა თეატრმა და კინომ. თეატრალური ხელოვნების მიღწევებს მეეკვირეტყველად მოწმობს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ტრიუმფული გასტროლები ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. სასიხარულოა, რომ მხატვრულ ფილმს „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ლენინური პრემია მიენიჭა, ხოლო კინოსურათს „ცისფერი მთები“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა. ყოველივე ეს კანონიერ სიამაყეს იწვევს.

დიდი მუშაობაა გაწეული სამუსიკო კულტურის დონის ასამაღლებლად. მაღალი შეფასება დაიმსახურეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოსკოვის საგასტროლო გამოსვლებმა. კვლავინდებურად დიდ ინტერესს იწვევს რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მიმდინარე მუსიკალური ფესტივალები. ქართველ კომპოზიტორთა შორის ბევრნი ატარებენ ლენინური პრემიების ლაურეატთა სპატიო წოდებას. სასიხარულოა, რომ სწორედ წელს მიეკუთვნა ანდრია ბალანჩივაძეს სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება, ხოლო სულხან ნასიძის სიმფონიას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სახელოვნო ტრადიციები აქვს ქართულ სახვითს ხელოვნებას. ამ ტრადიციებზე დაყრდნობით თანამედროვე ოსტატები მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარენ სახვითი ხელოვნების სკოლის შემდგომ განვითარებას. ბევრ მათგანს მიეკუთვნა უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები. ფერწერასთან, ქანდაკებასა და გრაფიკასთან ერთად პოზიციები განიმტკიცეს სცენოგრაფიამ, დიზაინმა, დეკორაციულ-გამოყენებითმა ხელოვნებამ. ყოველი რესპუბლიკური გამოფენა ახალგაზრდა პერსპექტიული მხატვრების ახალი სახელებით გვახარებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელოვნების ცხოვრებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მე, როგორც მოქანდაკეს, უდიდესი სიხარული მომანიჭა დოკუმენტის შინაარსმა, რომელშიც მონუმენტური პროპაგანდის ლენინური იდეებია გამოთქმული. მონუმენტურ ნაწარმოებთა ხორცშესხმაზე დაწესებული შეზღუდვები, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იყო. ასეთი შეზღუდვების უმთავრეს მიზეზს, ალბათ, ოლიმპომო, უსახური მემორიალების მოძალება განაპირობებდა. შეფასებათა მცდარი კრიტერიუმების შედეგად ხშირად მისდგომია ზიანი ჭეშმარიტ ხელოვნებას. არადა, ეს ხომ ის სფეროა, რომელიც ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობას შეიგრძნოს შრომის, ვაჟკაცობის, სიყვარულის მშვენიერება!

ეგვიპტური ქანდაკებანი, ძველ ბერძენთა ქმნილებანი დღესაც ცოცხლობენ და მარად იცოცხლებენ. თანამედროვე ქანდაკება სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი დღევანდელი მოღვაწეობის ცოცხალი მატიანე. თუმცა ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მწერლების, პოეტების ძეგლთა გახსნისას ორატორები დამსწრეთ ამცნობდნენ მათს ბიოგრაფიას, მაგრამ არავის არ აინტერესებდა შემოქმედის მიერ შექმნილი ნაწარმოების მხატვრული სახე. არადა, ქანდაკებას, ისევე როგორც ყოველგვარ სხვა ხელოვნებას, აქვს თავისი ენა, პლასტიკა, რომელიც უნდა იყოს გადამწყვეტი კრიტერიუმი მის შეფასებაში. საბჭოთა ხალხი მუდამ აფასებდა ხელოვნებაში ნიჭიერებას, ნოვატორობას, მასშტაბურობას და ცხოვრებისეული სიმართლის წრფელ ასახვას, რაც ხშირად წაულეკავს მდარეხარისხოვან ნაწარმოებთა ნიაღვარს. ახალი დადგენილება ფართო პერსპექტივას უსახავს ჭეშმარიტ ხელოვნებას. ქართველი მხატვრები საზომად იღებენ მის მოთხოვნებს და ემზადებიან საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც სულ მალე გაიხსნება მოსკოვში. ვფიქრობ, დეპუტატებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ 1960 წელს „საქართველოს მხატვართა კავშირი სულ [illegible] წევრს ითვლიდა, მაშინ როდესაც დღესდღეობით იგი უკვე 1500 მხატვარს აერთიანებს.

წარმატებით ვითარდება ქართული საბჭოთა არქიტექტურა, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე ჰარმონიულად უთავსებს ეროვნული ნოვატორობას და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ ტრადიციებს. აღნიშნული დადგენილება ფართო ასპარეზს ანიჭებს იმ კომპოზიციების მშენებლობას, რომლებშიც სრული ძალით გამოვლინდება არქიტექტურისა და საგვითი ხელოვნების სინთეზი. ისევე როგორც ფუხნას დიდებული მონუმენტი „მოუპაკი და კოლმეურნე ქალი“ გადაიქცა ჩვენი სინამდვილის უდიდეს თაოსნობათა სიმბოლოდ, ჩვენი ყოველი ქალაქის ინრსახეც შრომის, მიღწევებისა და გამარჯვების სიმბოლოდ გვესახება. ყოველი ქალაქი მშვენიერების სადიდებლად უნდა აეგეროდეს.

მე, როგორც სახვითი ხელოვნების წარმომადგენელს, მახარებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტში აისახა გაზრდილი ყურადღება ჩვენი ცხოვრების სულიერი სფეროს ყველა მხარის სრულყოფისადმი. ალბათ არ უნდა დავიშუროთ არც შემოქმედებითი და არც მატერიალური ძალები [illegible] ადამიანის ესთეტიკურ-ეტიკური [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

## გარდასულ დღეთა სუნთქვა

# ის თავდადებით შრომობდა ომშიც...

**ხელთა** გვაქვს დიდი სამამულო ომის დროს წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბეჭდვითი გამოცემის — „საფრონტო ილუსტრაციის“ ერთერთი ეგზემპლარი. იმ ქარცეცლიან წლებში ასზე მეტი ნომერი გამოვიდა. მრავალგვერდიანი საბრძოლო ორგანოს 1945 წლის სგაგაზაფხულო ბოლო გამოცემა მტერზე დიდი გამარჯვების ბედნიერებით სუნთქავს. სამხედრო ფოტოკორესპონდენტების ნამუშევრებით უხვად ილუსტრირებული მასალები გვაცნობს ბერლინის ასაღებად განაღებული არნახული შტურმების საბოლოო აკორდის თანამდევ შემართებათა მეტყველ ეპიზოდებს, რაიხსტაგზე ქანთარიას და ეგოროვის მიერ წითელი დროშის აღმართვის, ფაშისტთა კაპიტულაციის ცერემონიალის, მოსკოვში წითელ მოედანზე 1 მაისის პარადის ამბებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ფრიად საინტერესო და უნიკალური გამოცემაა. და მისი რეპორტაჟებიდან დღეს მხოლოდ ერთ პუბლიკაციაზე შეეჩერდებით.

ეს ციტატა ზემოაღნიშნული ფრონტული ჟურნალიდან არის ამოღებული. მას ფოტოსთან ერთად ვთავაზობთ მკითხველს. მაგრამ მარტოოდენ ვაქცაცური ღიმილის შუქით გასხივოსნებული სურათის წარმოდგენით ვერ დაკმაყოფილდებით.

ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1944 წლის 8 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილა წერილი რუბრიკით — „სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი“, სადაც ლაპარაკი იყო სწორედ არტილერისტ ავთანდილ საღარეიშვილის საბრძოლო დამსახურებაზე. ომის დაწყების დღიდან ლატვიაში იბრძოდა, მერე იცავდა მოსკოვს, მონაწილეობდა ვარშავის განთავისუფლებაში... „კომუნისტი“ მის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს ახალგაზრდა ქართველი პატრიოტის გულადობას, მხედრულ ოსტატობას და თავგანწირვას, მოპყავს მაგალითები და დასძენს, რომ იგი „ყოველდღიური მუშაობით შეუდრეკელობისა და სამშობლოსადმი თავდადების ნიმუშებს გვიჩვენებს“. და, იცით, განსაკუთრებთ რამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება?

ქართულ საგაზეთო პუბლიკაციაშიც და რუსული „საფრონტო ილუსტრაციის“ ფურცლებზეც ჩვენი თანამემამულის დახასიათებისას ფიგურირებს სიტყვა „მუშაობა“. მაშასადამე, იმ მრისხანე ყამს ნამდვილი მებრძოლები პროფესიული შრომის პრინციპების დაცვით გამოირჩეოდნენ სარდლობის დავალებათა შესრულებისას და თან საბრძოლო შეუპოვრობის ნიშნითვე შრომობდნენ კიდეც. დიახ, ეს კონტექსტი თან სდევდა და სდევს ლენინური ეპოქის ადამიანთა ნაღვაწს ყველგან და ყველაფერში. და ამიტომაც საბრძოლო შრომითი შეუვალობის სიმტკიცე იმარჯვებს ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში იმ საგაზეთო პუბლიკაციიდან 42 წლის შემდეგაც. პირნათელი ბრძოლისა და შრომის გზებმა მოიყვანეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კიდევ ერთი პატივსაცემი პიროვნება, ქალაქ რუსთავში ცხრა მაისს ქუჩაზე მცხოვრები ავთანდილ საღარეიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ომის, შრომისა და პარტიის ვეტერანი, რომლის მკერდსაც მრავალ სხვა ჯილდოსთან ერთად საბრძოლო და შრომის წითელი დროშის ორდენები ამშვენებს.

აი ასე, არტილერისტთა გმირული ყოფის ამსახველი ერთი ისტორიული ფოტოსურათის კვალდაკვალ ერთხელ კიდევ ვეზიარეთ ჭეშმარიტებას, რომ ბრძოლის ქარცეცლს არასოდეს გამოურიცხავს შთაგონებული შრომითი შემართება და არც დალოცვილ შრომას დაჭკლებია ოდესმე საბრძოლო ენინ და თავგანწირვა.

მხოლოდ ამგვარ მტკიცე რწმენას მოაქვს ხოლმე ყოველი დიადი გამარჯვება.

ვასილ მჭედლიშვილი.

19 ნოემბერი სარაკეტო ჯარების და არტილერიის დღეა

სურათზე: ზემდეგი ა. საღარეიშვილი თანამებრძოლებთან ერთად.

1945 წლის აპრილი.

---

„კომუნისტი“ საკადრო საქინფორმი

## ახალი ამბები

● **გაუშვეს** კავშირის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირის თანამგზავრი „მოლნია-1“ უზრუნველყოფს შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, აგრეთვე „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემას.

● **თბილისში** გაიხსნა საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება ლიზოსომის — ორგანიზმისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელი უჯრედის ნაწილის შესწავლის პრობლემებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და ქვეყნის სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ მოწყობილი სიმპოზიუმის მუშაობაში თვალსაჩინო საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

● **დამთავრდა** კამპუჩიის დელეები საქართველოში.

სტუმრები შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელებს, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მუზეუმებსა და თეატრებში, ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

● **თბილისში** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა ქვეყნის საინჟინრო-ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის დაპროგრამების საკავშირო ოლიმპიადა „სტუდენტი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

● **რუსული** პოეზიის უხუცესი წარმომადგენელი — 96 წლის სერგი შირვინსკი, ქართველი მთარგმნელი ზეზვა მედელაშვილი, აზერბაიჯანელი პოეტი და მთარგმნელი ნაბი ჰაზრი, უნგრეთის გამომცემლობა „ევროპის“ თანამშრომელი ერეიბეტ კატონა და მეცნიერი-მთარგმნელი სიმონ კრეპშადიანი გახდნენ ეღიშე ჩარენცის სახელობის პრემიის ლაურეატები.

პრემია დაიწესა სომხეთის მწერალთა კავშირმა, იგი სომხური ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელებს ენიჭება.

● **ბათუმში** შუშაობა დაიწყო საკავშირო სიმპოზიუმმა თემაზე „ფოლადები და შენადნობები კრიოგენულ ტექნიკაში“, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა და ფიზიკატექნიკის ინსტიტუტმა მოაწყვეს.

● **ქოგულეთში** გამართული მეორე საკავშირო კონფერენცია თემაზე „საკვები ცილის ახალი წყაროები“ ეძღვნება მცენარეებისაგან ცილის მიღებისა და მისი კვების პროდუქტებად გადამუშავების პრობლემებს.

● **საყოფაცხოვრებო** მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებისათვის ვანის რაიონის სოფელ ციხესულორის მცხოვრებლები ემადლიერებიან რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, რომლის სახლებითაც აშენდა აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. ახლა ციხესულორელებს საცხოვრებელ ადგილას შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვაგვარი სერვისით, რომელიც ხარისხით ქალაქურს არ ჩამოუვარდება.

ახლა რესპუბლიკაში აგროსამრეწველო გაერთიანებების შემოსავლის გარკვეული ნაწილი რეგულარულად ირიცხება მინდვრების მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. მეთორმეტე ხუთწლეულში, მის მიერ გამოყოფილი თანხებით აშენდება სამასზე მეტი კომბინატი, კომპლექსური მომსახურების პუნქტები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოები.

● **ქუთაისში** გახსნილი საბავშვო ავტოქალაქი თორმეტი ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა გადაჭიმული. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებმა აითვისონ საგზაო მოძრაობის წესები, „წაიკითხონ“ საგზაო ნიშნები. ვითარება მთლიანად შეესაბამება ნამდვილი ავტომაგისტრალისას.

## ცვლილებათა ქამი

ფინურ ენაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვის სტატიების კრებული

●●

**ჰელსინკი.** ფინეთის მოსკოვის საელჩოში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც ფინეთის საზოგადოებრობას წარუდგინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებისა და სტატიების აქ გამოსული კრებული.

სახელწოდებით „ცვლილებათა ქამი“ კრებული ფინურ ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „ვეილინმა და ჰესმა“. წიგნი შეიცავს ფინელი მკითხველებისადმი მიმართულ მ. ს. გორბაჩოვის წინასიტყვაობას.

კრებულის გამოქვეყნებისას, თქვა გამომცემლობის დირექტორმა ვილე რეპომ, ვცდილობდით დაგვეკმაყოფილებინა ფინეთის საზოგადოებრიობის ინტერესი საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობისადმი. ვიცით, რომ საბჭოთა კავშირში ახლა ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს.

როგორც პარლამენტის დეპუტატმა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა რეინო პაასილინამ აღნიშნა, კრებული საშუალებას იძლევა უშუალოდ გავეცნოთ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მ. ს. გორბაჩოვმა რეიკიავიკში წამოაყენა ფართო მასშტაბის კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც განაგრძობენ და აკონკრეტებენ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს. ისინი მიზნად ისახავენ იხსნან კაცობრიობა თერმობირთვული კატასტროფისაგან. და ამ წინადადებებს ფართოდ უჭერენ მხარს მსოფლიოში, ხაზგასმით აღნიშნა რ. პაასილინამ.

---

## 18 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

# ინფორმაცია

ფაქტები • მოვლენები

## მტკიცე სოლიდარობის დადასტურება

### გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო

**მანაგუა.** „სსრ კავშირი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოუწოდებს შეწყვიტოს აგრესიული ომი ნიკარაგუის წინააღმდეგ“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ოფიციალური ორგანო გაზეთი „ბარიკადა“ პირველ გვერდზე საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარს.

საბჭოთა კავშირი, წერს „ბარიკადა“, კვლავ მოუწოდებს რეიგანის ადმინისტრაციას თავშეკავების, რეალიზმისა და პასუხისმგებლობისათვის. იგი მოუწოდებს ბოლო მოუღოს დანაშაულებრივ მზადებას, რომელიც მიმართულია ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ.

შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული ზრახვების წინაშე, წერს გაზეთი, სსრ კავშირი კვლავ ადასტურებს მტკიცე სოლიდარობას ნიკარაგუელი ხალხის სამართლიანი საქმისადმი. იგი მტკიცედ უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ყოველ ცდას საბჭოთა კავშირს დააკისროს პასუხისმგებლობა ცენტრალური ამერიკის კრიზისის გაშწვავებისათვის. საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, წერს „ბარიკადა“, სავსებით მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსრ კავშირს არ შეუქმნია და არც ქმნის რაიმე სამხედრო ბაზას ნიკარაგუაში, როგორც ამის დამტკიცება სურს ამერიკის ადმინისტრაციას, როცა ცდილობს გაამართლოს აგრესიული მოქმედება სანდინისტური რევოლუციის წინააღმდეგ.

პირიქით, წერს გაზეთი, სწორედ შეერთებული შტატები არღვევს საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს და არ წყვეტს ინტერვენციონისტულ აქციებს ნიკარაგუის წინააღმდეგ.

### უუფლებობისა და ძალმომრეობის სამყაროში

## დისკრიმინაციის სიმბოლო

**პოლიცია გაუსწორდა ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლებს**

**ტოკიო.** ოთხი სასტიკად ნაცემი კაცი მიიყვანეს საავადმყოფოში, კიდევ ოთხი პოლიციის საპატიმროში დაამწყვდიეს — ასეთია იაპონიაში სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილეებისადმი მორიგი ანგარიშსწორების შედეგი. ისინი მოითხოვენ მოისპოს დისკრიმინაციული კანონმდებლობა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. ორშაბათს მათ მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია ტოკიოს ცენტრში, მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაიაზრონ „რეგისტრაციის“ სამარცხვინო სისტემა, რომლის თანახმად კორეელთა 700-ათასიანი თემის ყველა წარმომადგენელი ქვეყანაში დაპატიმრების მუქარით მოვალეა რეგულარულად მისცეს თითის ანაბეჭდები და მუდამ იქონიოს განსაკუთრებული ნიმუშის პირადობის მოწმობა.

მანიფესტანტებმა სცადეს მოეწყოთ საპროტესტო მარში იუსტიციის სამინისტროსთან, როცა მათ თავს დაესხა „წესრიგის დამცველთა“ რაზმი. როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებს სცემდნენ ხელკეტებითა და ლითონის ფარებით, ფეხებით მიათრევდნენ პოლიციის ავტობუსებში. დაპატიმრებულ დემონსტრანტებს ელით პატიმრობა „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ ბრალდებით.

„მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა სასტიკი ცემა-ტყეპა გაგდა სიმბოლო დისკრიმინაციისა, რომელსაც კორეელები განიცდიან იაპონიაში“, — ნათქვამია ქვეყნის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ხელმოწერილ საპროტესტო განგებრო მოწოდებაში. მიმართვის ავტორები მოუწოდებენ ყველას გააფართოონ ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის, დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებისათვის.

ამჟამად იაპონიაში მიმდინარეობს ან მზადდება სასამართლო პროცესები რამდენიმე ათეული კორეელის საქმის გამო, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს „რეგისტრაციის“ დამამცირებელ სისტემას. სულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაცემებით, ომისშემდგომ პერიოდში ამ ეროვნული უმცირესობის რამდენიმე ათეული ათასი წარმომადგენელი განიცდიდა რეპრესიებს ქვეყანაში მოქმედი დისკრიმინაციული ბრძანებულებების დარღვევის ბრალდების გამო.

## საზიზღარი დანაშაული

**მოკლეს „რენოს“ პრეზიდენტი — გენერალური დირექტორი**

**პარიზი.** მიბრკნინ რამდენიმე გასროლით გუშინ საღამოს აქ მოკლეს სახელმწიფო მანქანათა-საშენებელი ფირმის „რენოს“ პრეზიდენტი — გენერალური დირექტორი ჟორჟ ბესი. უცნობ პირთა ჯგუფი ბესს ელოდა მის სახლთან, როცა იგი სამუშაოდან ბრუნდებოდა. მკვლელები მიიმალნენ.

დანაშაულის ადგილას მივიდნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი და მთავრობის რამდენიმე წევრი. შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა საწყრაფო თათბირი ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემაზე. პოლიციის აზრით, მკვლელობა, როგორც ჩანს ჩაიდინა საფრანგეთის ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „აქსიონ დირექტმა“, რომელსაც ბრალად ედება აგრეთვე სხვა სერიოზული პოლიტიკური დანაშაულებების ჩადენა. მაგალითად, გასულ კვირას ამ დაჯგუფების წევრებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩადეს რამდენიმე ფრანგული ფირმის პარიზის წარმომადგენლობებსა და შტაბ-ბინებში.

ჟ. ბესის მკვლელობამ ერთსულოვანი გულისწყრომა გამოიწვია საფრანგეთში. პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა, რომელიც ვიზიტად იმყოფება ბურკინა ფასოში, გამოგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა გაერთიანდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „საზიზღარი დანაშაული“ უწოდა პროვოკატორ-ტერორისტთა ამ აქციას ფრანგ კომუნისტთა გაზეთმა „ლუმანიტემ“. გულისწყრომით დაგმო იგი შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალმა მელითონელთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანდრე სენჟონმა. ვისაც უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ამ მკვლელობისათვის, რა მოსაზრებებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ისინი, ამ აქტს ვერაფრით გაამართლებ, ნათქვამია „რენოს“ ქარხნების შრომის საყოველთაო კონფედერაციის ორგანიზაციის განცხადებაში.

## არ გვინდა ბირთვული უდაბნო!

**დემონსტრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ბირთვული ნაღმცდების წინააღმდეგ**

**ვაშინგტონი.** გასულ ორშაბათს ვაშინგტონის პოლიციამ 130-ზე მეტი კაცი დააპატიმრა დემონსტრაციის დროს, რომელიც იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიმართა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია განაგრძობს ბირთვულ ნაღმცდებს. „გვრცხვენია, რომ ამერიკელები ვართ!“, „სსრ კავშირმა შეწყვიტა ბირთვული გამოცდები, ჩვენ რატომ არ ვშვრებით ამას?“, „ჩვენს შვილებს ცოცხალი დედამიწა სჭირდებათ, და არა ბირთვული უდაბნო“ — ამ ლოზუნგებით დილაადრიანივე ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს შენობასთან ამერიკის დედაქალაქში შეიკრიბა ასობით ადამიანი. დემონსტრანტებმა გადაკეტეს ამ უწყებისაკენ მიმავალი გზები, რომელიც კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საცდელ ბირთვულ პროგრამას. მათ მოითხოვეს ადმინისტრაციისაგან უარი თქვას ყველაზე მოძველებული და დამანგრეველი იარაღის სრულყოფაზე, რომელიც ოდესმე შექმნილა. სამინისტროს 1987 საფინანსო წლის ბიუჯეტის თითქმის 75 პროცენტი გამოიყო ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული სამხედრო პროგრამების ფარგლებში სამუშაოთა წარმოებისათვის.

საპროტესტო გამოსვლა მოეწყო აგრეთვე ბირთვულ პოლიგონთან ნევადის შტატში. მისი მონაწილენი გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „მეწყდეს ბირთვული გამოცდები!“, „მოიშუშეთ დედამიწის იარები!“, ჩაკეტეს პოლიგონის მისასვლელები ქალაქ მერკიურის მახლობლად. აქ პოლიციამ დააპატიმრა დაახლოებით 60 კაცი, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი კინომსახიობი, ამერიკელ მშვიდობის მოძრაობა მოძრაობის მონაწილე მარტინ შინი.

### ტელეტაიპის ლენტიდან

● **ბუენოს-აირესი.** არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისთან ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების პრობლემის თაობაზე. როგორც ცნობილია, სიტუაცია მკვეთრად გამწვავდა მას შემდეგ, რაც ლონდონმა ამას წინათ გამოაცხადა ცალმხრივი გადაწყვეტილება 1987 წლის 1 თებერვლიდან დაიწესოს „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა“ სამხრეთ ატლანტიკაში მის მიერ უკანონოდ ოკუპირებული ამ არქიპელაგის გარშემო.

● **პარიზი.** როგორც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიდან იტყობინება ფრანს პრესის საგაზეთო, აქ სასამართლოს წინაშე წარდგა ყოფილი იმპერატორი ბოკასა. ჯერ კიდევ 1980 წელს ექს-დიქტატორს სიკვდილი მიუსაჯეს მკვლელობისათვის, სახელმწიფო სახსრების დატაცების, სახელმწიფო საკუთრების პირადი მიზნებით უკანონო გამოყენების, კანიბალიზმისა და სხვა დანაშაულობებისათვის.

● **ბანგალორი.** (კარნატაკას შტატი). აქ მუშაობა დაამთავრა სამხრეთ აზიის რეგიონალური თანამშრომლობის ასოციაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრამ, რომლის მონაწილეებმა გამოხატეს მისწრაფება მხარს უჭერდნენ მშვიდობას, სტაბილურობასა და მეგობრულ ურთიერთობას, ხელს უწყობდნენ რეგიონში პროგრესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპების მკაცრი ერთგულების საფუძველზე.

### ქმერიკა უნიღბოდ

## საახიფათო „თამაშები“

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ალვილებენ მილიტარისტულ ფსიქოზს**

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა „სპორტული თამაში“, რომელიც ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიგონეს. მისი წესები მარტივია: უნდა „მოკლა მოწინააღმდეგე“ სტუდენტთა ქალაქის ტერიტორიაზე. თამაშის მონაწილენი შეიარაღებული არიან ლაზერული პისტოლეტის მოდელებით და. ატარებენ მინიატიურულ გადამცემს, რომელიც სხივის მოხვედრას აფიქსირებს. მართალია, სპორტთან მას არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად შეიტანა იგი ფიზკულტურის პროგრამაში.

ზოგ-ზოგებს ეღიმებათ: აქაოდა, რა არის აქ საშიში, ეს ხომ მხოლოდ თამაშია. მაგრამ არც ასეა საქმე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამგვარი „თამაშების“ გავრცელება შესაძლებელი გახდა ქვეყანაში გაჩაღებული მილიტარისტული ფსიქოზის, აღვირახსნილი შოვინიზმისა და ანტიკომუნიზმის ატმოსფეროს შედეგად, რომელიც ყოველდღიურად აჩვევს ამერიკელებს ომის შესაძლებლობის აზრს. შემთხვევითი არ არის, „უფროსებისათვის განკუთვნილი თამაშების“ დევიზიც, რომელიც აშკარად არის ჩამოყალიბებული: „მოჰკალი კომუნისტი!“

მათი წესები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგრამ არსი ყველგან ერთნაირია — რომ გაიმარჯვო, უნდა მოსპო შენი მოწინააღმდეგე. აი ასე გამოიყურება, მაგალითად, ერთ-ერთი პოპულარული „გასართობი“, რომელსაც „გადარჩენისათვის ეროვნული თამაში“ უწოდეს. იგი იშვა ნიუ-ჰემპშირის შტატში თეთრ სახლში რეიგანის მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, და ახლა მთელ ქვეყანაში გავრცელდა. მონაწილეთა ამოცანაა ხელში ჩაიგდონ მოწინააღმდეგის დროშა და თავი „არ მოაკვლევინონ“ პისტოლეტით, რომელიც საღებავიან ამპულებს ისვრის. „სპორტსმენები“ იცვამენ ნაკისფერ ფორმას, იღებენ მუზარადებსა და სხვა ოქურვილობას და იწყებენ ერთმანეთზე ნადირობას. ერთ-ერთი გასამხედროებული ბანაკი, სადაც ასეთი ეგრეთ წოდებული შეჯიბრება მიმდინარეობს, ნიუ-იორკის მახლობლად ტყეშია განლაგებული. მას ხელმძღვანელობს ვინმე მ. კუოკო, სპეციალური დანიშნულების ჯარების ყოფილი „მწვანე-ბერეტიანი“, რომელმაც საძრახისი სახელი გაითქვა ვიეტნამის მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ სისხლიანი აქციებით. „ეს თამაში, — ამბობს კუოკო, — სასარგებლოა ხორცისა და სულისათვის. იგი ნამდვილი ამერიკული პატიოტების აღზრდას უწყობს ხელს“. სწორედ ასეთ „პატრიოტებზე“, რომლებიც მზად არიან კომუნისტებთან ომისათვის, ამყარებს იმედს ვაშინგტონი.



### ფოტოინფორმაცია

**უნგრეთში** გამოცდას გადის ზემსუბუქი თვითმფრინავი. მის კონსტრუქციაში შერწყმულია მსუბუქი ძრავიანი თვითმფრინავი და პლანერი.

**გამოცდა მიმდინარეობს ქალაქ სოლნოკის აეროპორტში.**

**სურათზე: გამოცდის დროს.**

**მტი—საკდესის ფოტო.**

### ◆ ჰაიტი

## საყოველთაო გაფიცვა

**ჰავანა.** ჰაიტიზე დაიწყო საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა გენერალ ნამფის მეთაურობით პრაზიდიუმი ტრიუმვირატის მმართველობის წინააღმდეგ. იგი ეწყობა მთელი რიგი დემოკრატიული პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების მოწოდებით. გაფიცვის მონაწილენი მოითხოვენ ტრიუმვირატის დაუყოვნებლივ გადადგომას, ადამიანის უფლებათა დარღვევის შეწყვეტას.

პარალიზებულია ჰაიტის დედაქალაქი და მთელი რიგი სხვა ქალაქები.

### პაკისტანი

## აფეთქებანი დუშმანთა განკარგში

**ქაბული.** როგორც ბახთარის საგაზეთო იტყობინება, კურამის რაიონსა და ქალაქ ფეშავარში — პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში აფეთქებათა შედეგად განადგურებულია ავღანელი კონტრრევოლუციონერების რამდენიმე სატვირთო ავტომობილი. სერიოზული ზიანი მიადგა შენობას, სადაც დუშმანები ემზადებოდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე დივერსიული აქციებისათვის. დაზოგილი ან დაჭრილია ათობით ბანდიტი.

დუშმანების წინააღმდეგ პარტიზანულ აქციებს აწყობენ პუშტუნთა თემების შეიარაღებული შენაერთები, რომლებიც ილაშქრებენ ისლამაბადის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომ მთის საცხოვრებელი ზონა აქციონ დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის პლაცდარმად.

---

## „ვაშინგტონ პოსტი“ — „ეროვნული ენციკლოპედიის“ ავტორებზე

**ანუ „ექსპორტიორი კონტროლის“ საბალალო შედეგები**

**ვაშინგტონი.** რეიგანის ადმინისტრაციის ცდები, ვაჭრობა გამოიყენოს სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური ზეგავლენის ბერკეტად, ზიანს აყენებს თვით შეერთებული შტატების ეკონომიკას. ასეთ აზრს გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების მედიცინის მრეწველობის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი ფრენკ სემიუელი სტატიაში, რომელიც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა.

გარკვეულწილად ახლანდელი ადმინისტრაციის მიზეზით არის გამოწვეული ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი საგარეო-სავაჭრო დეფიციტი, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, წელს 170 მილიარდ დოლარს მიაღწევს, აღნიშნავს სტატიის ავტორი. შეერთებული შტატები ვერ დაავრცელებდა ასეთ დეფიციტს, რომ არა ეგრეთ წოდებული „ექსპორტისადმი კონტროლი“ — დისკრიმინაციულ ღონისძიებათა სერია, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით ზღუდავენ ამერიკის პროდუქციის ექსპორტს სხვა, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ ქვეყნებში. ამ ღონისძიებათა კომპლექსი, მეტწილ შემთხვევებში სრულიად გაუმართლებელი, წერს ფ. სემუელი, ახლა ზიანს აყენებს ამერიკის ეკონომიკას, როგორც ბუმერანგი, რომელიც მიზანს ვერ მოხვდა. მაგალითად, ეკონომიკა ყოველწლიურად ჩაშლილი საექსპორტო კონტრაქტების სახით 7,6 მილიარდ დოლარს კარგავს.

ახლა, ნათქვამია სტატიაში, 120 გვერდისაგან შედგება იმ ქვეყნებში ექსპორტისათვის აკრძალული საქონლის სამთავრობო სია, რომლებიც „არ არიან ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირენი“. მაგრამ ამავე საქონლის შეძენა ადვილად შეიძლება სხვა ქვეყნებში. ამერიკის კომპანიები ასეთ მომგებიან შეკვეთებს კარგავენ იმის გამო, რომ არ შეუძლიათ სწრაფად დაძლიონ ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლებანი და მოიპოვონ ამა თუ იმ საქონლის ექსპორტის ნებართვა. ამის შედეგად მათს შეკვეთებს დასავლეთევროპელი და იაპონელი კონკურენტები იგდებენ ხელთ.

---

## ✓ ✓ ✓

**ბელგრადი.** ✓ ✓ ✓

# ბუნება—სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია, ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც“

**22**

ვაჟა-ფშაველა

**ამ ცოტა ხნის წინათ აკადემიკოს ასსრ ქედის სატყეო მეურნეობაში გაიმართა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელმაც მთის ტყეების პროდუქტიულობის გაზრდის კომპლექსური პრობლემები განიხილა.**

**კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. ზვერევმა გამოაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მთის ტყეების პროდუქტიულობის გაზრდაში შეტანილი დიდი წვლილისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოდა სერგო ყღენტი — ქედის სატყეო მეურნეობის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე, რომელიც აღნიშნულ მეურნეობას 1968 წლის 22 მარტიდან უძღვება.**

**ა. ი. ზვერევმა მასპინძელს უშუალოდ გადასცა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო. ს. ყღენტის ცხოვრებასა და საქმიანობას ქვემოთ უფრო ვრცლად გაგაცნობთ.**

სერგო ყღენტი.

**იგი** ამ სამოდე წლის წინათ გავიცანი. მახსოვს, ახლო წარსულის ერთი საგულისხმო ამბავი ვკითხე...

— არასოდეს მიწერია დღიურები,—თქვა მან,—დასანანი კია; კარგი იქნებოდა ზუსტად დაფიქსირებულიყო ფაქტები და მოვლენები.

სწორედ მაშინ, მისი „კარნახით“ კავსენი ბლოკნოტი „ქედის სატყეო მეურნეობა“, რომელშიც შემჭონდა დირექტორის გამონათქვამები და ჩვენი საქმიანი საუბრების შინაარსი.

და ამ დღეებში, როცა იგი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, გადაწყვიტე მათი გამოქვეყნება.

და აი, ისე გამოვიდა, თითქოს მას დღიური ეწეროს...

ბუნებრივია, ამ ჩანაწერებში მთელი სიგრძე-სიგანით ვერ წარმოგიდგენთ სერგო ყღენტს, ადამიანსა და ხელმძღვანელს. ჩემი მიზანი უფრო მოკრძალებულია, სურვილი მაქვს გაგიზიარო მოწინავე დირექტორის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი.

* * *

**ჩვენი** სატყეო მეურნეობა მაღალ მთებშია. იქ, ტყის იქით, სხვათა მიწა-წყალია. აქ ჩვენი სამშობლოს პატარა კუთხეა, მაგრამ მაინც იგრძნობა მთელი ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ცხოვრების რიტმი.

იმ ოთხასი კაციდან, რომლებიც ჩვენს კოლექტივს შეადგენენ, თითოეულის უმთავრესი ღირსებაა საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ჩვენს საწარმოში დისციპლინის დარღვევის შემთხვევები არ არის, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მტკიცე დისციპლინა მთელთა ტრადიციაა; ჩვენთვის მთავარია არ შევილახოთ ღირსება.

მაგრამ, სამწუხაროდ, სიმაღლე ფარი არა გვაქვს იმათთვის, ვინც იცის და უყვარს შრომა. თუმცა, არც იმათ წინააღმდეგ გვაქვს იარაღი, ვისაც არ ესმის, რომ არ შეიძლება სამუშაო დღის ხელყოფა, არ შეიძლება **შრომის** რიტმიდან ამოაგდო ადამიანი. ხდება ხოლმე, რომ მუშას, რომლის პორტრეტიც საპატიო დაფაზეა გამოკრული, სამუშაო ადგილას ვერ ნახავთ, არცთუ იშვიათად ბათუმიდან დარეკავენ და გვთხოვენ ამა თუ იმ თანამრეზეგაგზავნოთ მოწინავე მეტყევეც, უფრო გვემატებიან კომუნისტური შრომის დამკვრელები თუ ორდენოსნები, მით უფრო მეტ ხალხს „ეპატიჟებიან“ სხვადასხვა ღონისძიებაზე. ასეთი „მონაწილეობის“ შემდეგ შრომითი რიტმიდან ამოვარდები კაცი.

ზოგჯერ მოწინავეები შეასუსტებენ ხოლმე მუშაობას, გამოდის, რომ თვითნებური გაცდენისათვის კაცი ისჯება, ოფიციალურისთვის კი არავინ აგებს პასუხს. ხომ არის დასვენების დღეები და უქმეები, აი, მაშინ უნდა მოვაწყოთ თათბირები და შეკრებები. ეს ჩემი ურყევი აზრია.

* * *

**ხელმძღვანელის** კაბინეტი... დირექტორის სავარძელი...

ჩვენში რომ ვთქვათ, რამდენი სატირული სტრიქონი მიეძღვნა ყოველივე ამას...

ჩემთვის მთავარია: როგორ გამოვიყენო უკეთ ჩემი პოტენციალი, როგორ გავზარდო ჩემი მარგი ქმედების კოეფიციენტი?

მე კარგად ვიცნობ ჩვენს პირველყოფილ მთის ტყეებს — წაბლნარებს, წიფლნარებს, ნაძვნარებს, რომლებიც ასე ალამაზებენ სამხრეთის კუროორტებს.

მაგრამ კარგად ვიცი ისიც, რამდენია დეგრადირებული ტყეები, რომლებსაც, სპეციალისტთა გამოანგარიშებით, რესპუბლიკის მთელი ტყის ფართობის 30 პროცენტი უკავიათ.

ინტენსიური მუშაობაა საჭირო მათი აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის...

საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებანი მათი ბუნებრივი განახლებისათვის, დაავადებების, მავნებლებისა და ხანძრებისაგან მცენარეთა დაცვისათვის...

ერთი სიტყვით, საჭიროა გარემოს დაცვის მთელი კომპლექსი. ცხადია, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის კონკრეტულ წვლილს...

არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე: მიწათმოქმედი მოსავალს იღებს, პურს დიდი ღერო აქვს, თავთავი კი ხან ცარიელია, ხან კი მარცვალია დამპალი.

რა ვქნათ საიმისოდ, რომ ნაკლებად გვქონდეს ასეთი შემთხვევები?

* * *

**თბილისი.** საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო აჯამებს მეორეთმეტე ხუთწლედის შედეგებს.

გვეამა ჩვენს წარმატებებზე რომ ლაპარაკობდნენ: ყოველ წლიურად 220 ჰექტარზე ეწყობა აღდგენითი სამუშაოები, აქედან 20 ჰექტარზე — რგვა.

კულტურების გაბარება 90-92 პროცენტს აღწევს, გეგმით გათვალისწინებული 76 პროცენტის ნაცვლად. გაშენდა სანერგე, სადაც ყოველწლიურად 150-200 ათას ნერგს იღებენ.

„კარგი შედეგებია სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში: ორი წლის წინათ შეიქმნა მეღორეობის ფერმა. შემდეგ საქონელიც შემოვიყვანეთ. სატყეო მეურნეობა ყოველწლიურად სახელმწიფოს 30 ტონა ხორცს აბარებს.

სოფელ მახუნცეთში საკუთარი ძალებით შეეაკეთეთ მეცხოველეობის ფერმის მიტოვებული, ნახევრად დანგრეული ნაგებობა. დავნერგეთ მექანიზაცია. და აი, ახლა აქ ყოველწლიურად 50 ტონა რძეს ვიღებთ. ცენტნერი რძის წარმოებაზე გეგმით გათვალისწინებული 40 მანეთის ნაცვლად 36 მანეთი იხარჯება, ცენტნერი ხორცის წარმოებაზე — შესაბამისად —200-ის ნაცვლად 180 მანეთი.

მარტო მეცხოველეობაში მოგებამ დაახლოებით 9 ათასი მანეთი შეადგინა.

გავაშენეთ სატბორე მეთევზეობის მეურნეობა. ყოველწლიურად სულ ცოტა 3 ტონა თევზს მივიღებთ.

ხელი მოვკიდეთ მეფუტკრეობას. შევიძინეთ 125 სკა. ჩვენი გაანგარიშებით, წელიწადში 3 ტონამდე თაფლი უნდა მივიღოთ.

დიდად რენტაბელურად მუშაობს ფართო მოხმარების საქონლის საამქრო. 15 წლის წინათ იგი წელიწადში ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებდა, ახლა ამ მაჩვენებელმა მილიონნახევარს მიაღწია. მოგების ნაწილს მუშების სადილის ასანაზღაურებლად ვიყენებთ... მათ უფასო კვება აქვთ.

ერთი სიტყვით, პირობისამებრ 1985 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებები და ვალდებულებანი შეასრულეთ. ამ წლების მანძილზე ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდა 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზე, გამოშვებული და რეალიზებულია თითქმის შვიდი მილიონი მანეთის პროდუქცია. ყოველწლიურმა მოგებამ დაახლოებით მილიონ-ნახევარი მანეთი შეადგინა.

* * *

**დედაქალაქის** ხმაურიანი ქუჩების შემდეგ განსაკუთრებით საამოა წმინდა და გრილი ჰაერი, ნაკადულების ჩხრიალი და მთის ცხოველთა ხმაური.

მაგრამ მთიან მხარეს მარტო აშკარა პლუსები როდი აქვს. ჩვენში ზამთარი მიიტაცებს ხოლმე შემოდგომისა და გაზაფხულის დიდ ნაწილს. ბევრი „საკუთარი“ პრობლემა აქვთ მეტყევეებსაც.

დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ტყეებს კოლმეურნეობების პირუტყვის უსისტემო ძოვება სუბალპურ ზონებში. ამის გამო ჯეროვნად ვერ წარმოვს ტყის განახლების სამუშაოები...

გაუთავებელი ინსტრუქციები და მითითებანი ხშირად ბორკავს ადგილობრივ ინიციატივას, აბრკოლებს მომწიფებული საკითხების სწრაფად და ოპერატიულად გადაჭრას.

აი მაგალითი. თითქოს აქ ორი აზრი არ უნდა იყოს: რაც ხელსაყრელია სახელმწიფოსთვის, ის ხელსაყრელია სატყეო მეურნეობისთვისაც. მაგრამ ინსტრუქცია გზას გვიღობავს.

ობიექტი, რომლის აშენებაც გადაწყვიტეთ, ჰაერივით გვჭირდება, პროდუქციაც ყველას სჭირდება. მაგრამ ჩიხში მოვექეცით. ლიმის გამოყენება ისე, რომ გამოაცოცხლო ფიჭკულტურულ-მასობრივი მუშაობა, მხატვრული თვითმოქმედება? როგორ გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდი და მოგება?

უამრავი საკითხი დაგროვდა. ვერ მივეჩვიეთ, იქნებ გადავეჩვიეთ კიდეც, ვხედავდეთ მშრომელთა კოლექტივის შესაძლებლობებს. მწვავე პრობლემაა. დროა, თავი მოვაბათ ყოველივე ამას, თორემ წინ ვერ წავიწევთ...

* * *

**პარტიის** ქედის რაიკომში სამაგალითოდ მოიხსენიეს ჩვენი კოლექტივი, რომელმაც 17-ჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა.

და მაინც, ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: ყველაფერს ვაკეთებ თუ არა მე, დირექტორი, სატყეო მეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად? ძალაყოფილი არა ვარ. მეტისმეტად ბევრ დროსა და ძალღონეს ვხარჯავ იმისათვის, რომ უამრავ მაჩვენებელსა და ნაირნაირ ანგარიშგებას შორის დაკლაკნილ ბილიკზე ვატარო მეურნეობა. და როცა უკან მოვიხედავ ხოლმე, უნებურად ვამჩნევ: ენერგია დიდძალი დამიხარჯავს, გაკეთებული კი იმდენად ცოტაა, რომ გული მწყდება.

შეგვიძლია თუ არა უფრო ნაყოფიერად მუშაობა? რა თქმა უნდა, შეგვიძლია, დაბრკოლებანი რომ არა.

აი მაგალითები. თვითღირებულების ყოველთვიურ ანგარიშგებაში, რომელიც 1979 წლის 2 ივლისს დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, 30-მდე მაჩვენებელია. კვარტალურმა ანგარიშგებამ 100 მაჩვენებელს გადააჭარბა.

მეორე ფაქტი. სამრეწველო პროდუქციის წარმოების შესახებ ანგარიშგებას, დადგენილი ვადის თანახმად, ყოველი თვის 3 რიცხვში გადავცემთ ხოლმე. ამაში მედის ხელფასის ფონდის ხარჯვის მაჩვენებელიც, რომელსაც, როგორც ყოველმა ჩვენმა ეკონომისტმა იცის, მხოლოდ 7-ში ვიღებთ. რამდენად სწორი შეიძლება იყოს ეს მაჩვენებელი, თუ მას 3 რიცხვისათვის „გამოვიგონებთ“ ხოლმე?

* * *

**ახლა** ყოველდღიურად იხმარება სიტყვები და ტერმინები: სამეურნეო ანგარიში, სამეურნეო წესი, სამეურნეო მექანიზმი, ბრიგადული იჯარა, თვითანაზღაურება ან, ვთქვათ, ისეთი ცნება, როგორიცაა „სოციალისტური საზრიანობა“, რომელიც უპირისპირდება უინიციატივობას, ფორმალიზმს, მაშასადამე, არატრადიციული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს!

განზე ვერ გავუდგებით ასეთ სიახლეებს!

დავიწყეთ ვიტამინიზებული ფხვნილის წარმოება, რომელსაც პირუტყვის ულუფაში საკვები დანამატის სახით ხმარობენ. საამიო ნედლეულია წარმოების ნარჩენები — ტყეებისა და ბუჩქების ტოტები და ფოთლები.

სანიტარული კაფვის დროს ტყე ყოველ ჰექტარზე გვაძლევს ორ ტონამდე მწვანე მასას, ანუ 400-500 კილოგრამ ვიტამინიზებულ ფხვნილს.

ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა: კომბინირებულ საკვებში 5-10 პროცენტი ასეთი ფხვნილის დამატება პირუტყვის წონა-მატებას 8-10 პროცენტით ზრდის.

ტყის ნარჩენების გადამუშავება სპეციალურად აღჭურვილ სამქრობში ხდება. ცალში 3,3 ტონა ფხვნილს ვუშვებთ.

* * *

**სსრ კავშირის** სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის პირველ ნახევარში საკუთარ შესაძლებლობებზე ნაკლებად იმუშავეს რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ტყის მშენებლებმა...

და აი, ამიტომაც თითოეულ მშენებლობას, თითოეულ ასამოქმედებელ ობიექტს განსაკუთრებული კონტროლი დაუწესდა, რათა ყოველივე დასახული განხორციელდეს და ყველა ობიექტი დადგენილ ვადაში ჩაბარდეს.

დიდხანს „ვეჯიდავებოდით“ გეგმას ჩვენც. და რა გასაკვირია, რომ კოლექტივში გუნებაზე ვერ იყვნენ.

„სასწაულის“ მოლოდინი არ უნდა გვჭონოდა. მაგრამ მტკიცედ მოქმედებას კი გადაქმნების ხანა გვიკარნახებს.

და ჩვენც პირველი ნაბიჯი გადავდგით: გადაწყვიტეთ „ქოხმახი“ დაგვეგრძია და სამეურნეო წესით აგვეშენებინა ასადგილიანი საკუთარი სასადილო. ისე, რომ მისი პირველი სტუმრები ყოფილიყვნენ საკავშირო კონფერენციის მონაწილეები.

ერთი თვის მუშაობა, და გეგმის შესრულების მაჩვენებელმა ას პროცენტს გადააჭარბა.

გავიდა მეორე თვე — იგივე შედეგი.

რა მოხდა? დიდი არაფერი: ვისწავლეთ მოვლენების მართვა, უწინარეს ყოვლისა, ელემენტარული წესრიგი დავამყარეთ სამშენებლო მოედანზე. დარწმუნებული ვარ, ყველამ იცის, თუ როგორ კეთდება ეს.

ამას წინათ მკითხეს: სამშენებლო ტექნიკა მოგვმატათ თუ უკეთ გამარაგებენ?

არა-მეთქი, — ვუპასუხე მე.— ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს. და მაინც, ძვრები იგრძნობა: ჩვენი შარშანდელი და წლევანდელი მაჩვენებლები არსებითად განსხვავდება.

რით? იკლო პასიურმა შემსრულებლობამ.

გამოიღვიძა ინიციატივამ.

ახლა ავტომანქანებს, რომლებსაც მასალები მოაქვთ, როდისმე კი არა, ზუსტად გრაფიკის მიხედვით ვცლით. მომარაგებაც წინანდებურად აღარ აყოვნებს ტემპს.

ეკონომიურად და რაციონალურად გავანაწილეთ სხვა ძალებიც.

მშენებლობა მწყობრი რიტმით ამუშავდა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: „ზემოდან“ აღარ გვაბეზრებენ თავს წერილმანების გულისთვის.

ყოველივე ეს კრებაზე აღნიშნეს კომუნისტებმა. ყველაზე დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ: დანაპირები შესრულებულია.

წინ დიდი გეგმები გველის. მთავარია არ მოვდუნდეთ. წარმატებებმა სიფხიზლე **არ** უნდა შეგვისუსტოს.

* * *

**აქ** მთავრდება ბლოკნოტის ჩანაწერები, მაგრამ მწამს — იგი გაგრძელდება. კაცს ხომ ტყეში პატარა ბილიკის მიგნებაც კი უხარია: იგი დიდ გზაზე გაიყვანს. ჩემი გმირის საქმიანი ხასიათიც დიდი გზისაკენ მიმავალ ჯერ გაუკვალავ ბილიკს ჰგავს...

**მიხეილ ფიჩხაძე.**

## ქართული ზამბახი

**თავისი** სილამაზითა და სამკურნალო თვისებებით უნიკალური ყვავილი — ქართული ზამბახი გადაშენებას გადაურჩა!

მრავალი წლის მანძილზე ამ სახეობის ზამბახს, რომელიც მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში ხარობს, მტაცებლურად ძირკვავდნენ. ძვირფასი თვისებების მქონე მცენარისათვის საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ: უცხოელებს განსაკუთრებით იზიდავდა მისი საპარფიუმერიო და სამედიცინო თვისებები. მაგრამ სხვა ქვეყანაში ყვავილის გამრავლების ყველა ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა: გვალვაგამძლე მცენარე არ ხარობდა. გადაშენების პირას მისული ენდემი წითელი წიგნში მოხვდა.

ზამბახს სიცოცხლე დაუბრუნა ბოტანიკოსმა ნინო კახელაძემ. მისი კვლევის ობიექტი ყოველთვის იყო კლდის გვალვაგამძლე მცენარეები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ულამაზეს ზამბახს. ერთ სეზონში ზამბახი კინაღამ დაიღუპა, დაავადდა სოკოთი, რომელიც მოჭარბებული წვიმების გამო სწრაფად ვრცელდებოდა ყვავილზე, მის საწინააღმდეგოდ რადიკალური საშუალება არ არსებობდა და მაშინ ერკიდევ ახალგაზრდა ბოტანიკოსმა თვითონ იპოვა სოკოსთან ბრძოლის უებარი წამალი...

წარმატებას უცებ ვერ მიაღწია. ბევრი დრო გავიდა, სანამ ფიტონციდური მცენარეებიდან მიღებული ნსნარის გამოყენების შედეგად შეძლო ეთქვა, რომ ქართული ზამბახი აღორძინდება!

დღეს ნ. კახელაძე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების განყოფილებას. კრწანისის ექსპერიმენტული ბაზის გრძელ კვლებში კი ხარობს მისი შრომის ნაყოფი — ქართული ზამბახი.

—გავა წლები,—ამბობს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კახელაძე და წითელ წიგნში შესული ქართული ზამბახი კვლავ აყვავდება რესპუბლიკის მთასა და ბარში. ჩვენ უკვე შეგვიძლია გავცეთ მისი მოვლის აგროტექნიკური რეკომენდაციები, ზამბახის თესლს მივცემთ ყველას, ვინც დაინტერესებულია მისი მოშენებით.

## ჩვენებური ქაცვი

**ჯვირფასო** მკითხველო, ალბათ შეგინიშნავთ, რომ თბილისის თუ სხვა ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში შემოდგომის დამდეგიდანვე უხვად იყიდება ქაცვი — მოყვითალო-მოწითალო ფერის წვრილნაყოფიანი ტოტები.

ქაცვის ბუჩქი (კატაფშატა, ყვავტყემალა, კუდაცია...) საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ძირითად ჭალის ტყეებში ხარობს. მისი ნაყოფი ჩვენში მოზამთრე ფრინველთა მთავარი საზრდოა. რაც შეეხება მოსახლეობას, ცოცხალ (დეკორატიულ) ღობედ იყენებს, ხოლო ხალხური მკურნალები მისგან სხვადასხვა წამალს ამზადებენ.

ეს უკანასკნელი გახდა სწორედ ქაცვის განადგურების მიზეზი — ცდომილი ადამიანები, აქაოდა, ამ მცენარის ეკლიანი ბუჩქიდან ნაყოფის მოკრეფა ძნელიაო, ტოტებს (ზოგჯერ მთელ ბუჩქსაც) ჭრიან, ბაზარში გააქვთ და ყიდიან. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც, და თუ ასე გაგრძელდა, მერწმუნეთ, სულ მალე, ჩვენში ქაცვის ნასახიც არ დარჩება...

ქაცვი საქართველოს სსრ წითელ წიგნშია შეტანილი (გვ. 112-113), მაგრამ დაცული არ არის (?!). ამ დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში ამ მცენარეს დიდი მზრუნველობით ეკიდებიან. მის დაცვა-გამრავლებას განსაკუთრებული კონტროლი აქვს დაწესებული... მეტყევეების თუ სხვა ბუნების ქომაგთა მეცადინეობით რსფსრ სხვა მხარეებშიც ქაცვის ახალ-ახალი რაყები შენდება. უფრო მეტიც, ქაცვის სამკურნალო თვისებას საბჭოთა კავშირის მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სწავლობს...

ერთი სიტყვით, ქაცვი ეს ძვირფასი სამკურნალწმალო, დეკორატიული და ფრინველთა მასაზრდოებელი მცენარე. შველას გვთხოვს — მისი გადარჩენა-გამრავლება და გონივრული გამოყენება ყველას და თითოეულის ვალია!

**„კომუნისტის“ კორ.**

**სურათზე:** ქედის სატყეო მეურნეობის ერთ-ერთი კუთხე.

თ. ფურცხვანიძის ფოტო.

## ბიბლიო

## ვიქტორ გოგლიძის მემორიალზე

**ეუფლისს, ბაღდათს, ასახლეში** მიმდინარე ვ. გოგლიძის მემორიალის პირველი ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო დიდოსტატ რომანიშვილის პარტია უკანასკნელი საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორ მალანიუკთან. რთულ მანევრულ ბრძოლაში ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობას — ყაიმი. მსოფლიო ექსჩემპიონმა ტალმა შავებით ჯერ პაიკი, ხოლო შემდეგ პარტიაც მოუგო ახალგაზრდა ინგლისელ მოჭადრაკე მაკდონალდს. ქართველმა საერთაშორისო ოსტატებმა უბილავამ და აზმაიფარაშვილმა ამ ტურნირში დიდოსტატის ბალისათვის (9,5 ქულა) უნდა იბრძოლონ. პირველ დღეს მათ გამარჯვება იზეიმეს. ფოიშორმა უბილავასთან დაახლოებით თანაბარ პოზიციაში მცდარად შეწირა პაიკი, მას იერიშის მიღების იმედი ჰქონდა. ამასობაში რუმინელს მხედველობიდან გამორჩა შავების არცთუ ისე რთული დაცვითი მანევრი, უბრალოდ უეცლოდ დარჩა და დანებდა. აზმაიფარაშვილი შავებით ჩინებულად თამაშობდა კაიდანოვთან და ტაქტიკურ ბრძოლაში აჯობა მეტოქეს. ზაიჩიკი შავებით დაემუქრა არხიპოვის მეფეს, მაგრამ მოსკოველმა შეძლო თავის დაცვა. როცა თამაში ეტლების თანაბარ ენდშპილში გადავიდა, მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. გურგენიძე-პეკარეკის პარტია რთული მანევრული ბრძოლით ხასიათდებოდა, სადაც თბილისელი თანდათანობით დაეუფლა ინიციატივას. მან თავისი მთავარი ძალები მეფის ფრთაზე გადაისროლა. ჩეხოსლოვაკიელი მარჯვედ იცავდა თავს, მაგრამ მდგომარეობის მთლიანად გათანაბრება ვერ შეძლო. პარტია გადაიდო. იუგოსლავი ცვიტანისა და უნგრელი კაროლის პარტია არ შემდგარა, რადგან ცვიტანი მოგვიანებით ჩამოვიდა თბილისში.

**ბ. ბამრეკელი.**

## სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** დღეს გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკაუმერო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| **„გურია“** | **28** | **5** | **18** | **80-66** | **61** |
| **ცსკა** | **26** | **9** | **11** | **63-35** | **61** |
| „დაუგავა“ | 24 | 14 | 8 | 82-46 | 60 |
| ასკ „კარპ.“ | 22 | 10 | 14 | 69-52 | 54 |
| „პამირი“ | 21 | 13 | 12 | 76-48 | 54 |
| „ლოკომოტ.“ | 21 | 11 | 14 | 63-48 | 53 |
| „როსტსელ.“ | 21 | 10 | 15 | 86-69 | 52 |
| „როტორი“ | 22 | 7 | 17 | 69-56 | 51 |
| „კოლსი“ | 20 | 11 | 15 | 48-45 | 51 |
| „ფაკელი“ | 20 | 8 | 18 | 56-44 | 48 |
| „დინამო“ ბთ | 20 | 8 | 18 | 50-59 | 48 |
| „მეტალურგი“ | 17 | 11 | 18 | 59-54 | 45 |
| „კუზბასი“ | 16 | 13 | 17 | 63-61 | 44 |
| „შინაკი“ | 16 | 14 | 16 | 41-45 | 44 |
| ასკ რ | 16 | 11 | 19 | 54-51 | 43 |
| „სპარტაკი“ | 15 | 12 | 19 | 58-66 | 42 |
| „ფახთაქორი“ | 15 | 10 | 21 | 55-73 | 40 |
| „დინამო“ სტ | 14 | 15 | 17 | 66-58 | 40 |
| „კოტაიკი“ | 14 | 13 | 19 | 46-54 | 40 |
| **„აუბანი“** | **14** | **14** | **18** | **41-48** | **40** |
| **ასკ ხბ** | **12** | **12** | **22** | **49-61** | **36** |
| **„ისკრა“** | **11** | **18** | **22** | **30-60** | **34** |
| **„ატლანტასი“** | **9** | **11** | **26** | **40-75** | **29** |
| **„ნისტრუ“** | **6** | **9** | **31** | **31-101** | **21** |

„გურია“ დაცსკა 23 ნოემბერს ქალაქ უჟგოროდში შეხვდებიან ერთმანეთს მცირე ოქროს მედლის მოსაპოვებლად. პირველ ლიგას გამოთიშული ხუთი კოლექტივის მაგივრად გაისად ითამაშებენ კუთხიშვილის „კრილია სოვეტოვი“, ტიუმენის „გეოლოგი“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“.

პირველი ლიგის ბომბარდირები არიან ფრედონიშვილი („გურია“) და მანასიანი („პამირი“). ამ ფეხბურთელებმა სეზონის განმავლობაში მეტოქეთა კარში 27-27 ბურთი გაიტანეს.

**ევროპის** ფეხბურთელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა ორი მატჩი: იტალიელებმა დაამარცხეს შვეიცარიელები — 3:2, მალტის ნაკრებმა კი წაგო შეხვედრა შვედებთან — 0:5. ამ ჯგუფში 3 მატჩი გამართეს შვედებმა, 5 ქულა დააგროვეს და ლიდერები არიან.

**კლასიკური ჭიდაობა.** ჩიკაგოში დამთავრებულ მსოფლიო თასის გათამაშებაში ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა ეს ჯილდო სსრ კავშირის ნაკრებმა. გადამწყვეტ მატჩში **საბჭოთა** ათლეტებმა დაამარცხეს აშშ-ს ნაკრები ანგარიშით 10:0.

**ჰანდბალი.** არაბთა გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში გრძელდება ქალთა და ვაჟთა გუნდების საჭადრაკო ოლიმპიადები. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა პირველ ტურში დაამარცხა თურქეთის წარმომადგენლები — 3:0, მეორეში — აშშ-ს ნაკრები — 3:0, მესამეში — ჩინეთის გუნდი — 2:1. აღსანიშნავია, რომ ჩინელებთან მატჩში გამარჯვება მოიპოვა მხოლოდ ნ. ვაფრინდაშვილმა, მ. ჩიბურდანიძემ და ნ. ალექსანდროვამ. კი პარტიები ყაიმით დაამთავრეს. სამი ტურის შემდეგ 8,5 ქულით დაწინაურდნენ რუმინელები, საბჭოთა ნაკრებს კი 8 ქულა აქვს. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა პირველ ტურში მოუგო ლიბანელებს ანგარიშით 4:0, მეორეში — პერუელებს — 3,5:0,5, მესამეში კი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 3,5:0,5. სამი ტურის შემდეგ სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დააგროვა 11 ქულა და ერთპიროვნულად ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან უნგრელები, რომელთაც ამასთან ერთად ერთი დასამთავრებელი პარტია აქვთ.

**ფრანგეთი.** ტოკიოში დამთავრებულ იაპონიის თასის გათამაშებაში პირველობას დაესაკუთრა აშშ-ს ვაჟთა ნაკრება, რომელმაც შეჯიბრების შვიდივე მატჩი მოიგო. 5-5 გამარჯვებით შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს საბჭოთა და იაპონელმა ფრენბურთელებმა.

**რედაქტორი ბ. ბედინეიშვილი.**



# მეტყევის ფიქრები

**ნარკვევი**

**ახლა აქ ყოველწლიურად 50 ტონა რძეს ვიღებთ. ცენტნერი რძის წარმოებაზე გეგმით გათვალისწინებული 40 მანეთის ნაცვლად 36 მანეთი იხარჯება, ცენტნერი ხორცის წარმოებაზე — შესაბამისად —200-ის ნაცვლად 180 მანეთი.**

**მარტო მეცხოველეობაში მოგებამ დაახლოებით 9 ათასი მანეთი შეადგინა.**

**გავაშენეთ სატბორე მეთევზეობის მეურნეობა. ყოველწლიურად სულ ცოტა 3 ტონა თევზს მივიღებთ.**

**ხელი მოვკიდეთ მეფუტკრეობას. შევიძინეთ 125 სკა. ჩვენი გაანგარიშებით, წელიწადში 3 ტონამდე თაფლი უნდა მივიღოთ.**

**დიდად რენტაბელურად მუშაობს ფართო მოხმარების საქონლის საამქრო. 15 წლის წინათ იგი წელიწადში ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებდა, ახლა ამ მაჩვენებელმა მილიონ-ნახევარს მიაღწია. მოგების ნაწილს მუშების სადილის ასანაზღაურებლად ვიყენებთ... მათ უფასო კვება აქვთ.**

**ერთი სიტყვით, პირობისამებრ 1985 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებები და ვალდებულებანი შეასრულეთ. ამ წლების მანძილზე ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელდა 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზე, გამოშვებული და რეალიზებულია თითქმის შვიდი მილიონი მანეთის პროდუქცია. ყოველწლიურმა მოგებამ დაახლოებით მილიონ-ნახევარი მანეთი შეადგინა.**

*** * ***

**დედაქალაქის** ხმაურიანი ქუჩების შემდეგ განსაკუთრებით საამოა წმინდა და გრილი ჰაერი, ნაკადულების ჩხრიალი და მთის ცხოველთა ხმაური.

**მაგრამ მთიან მხარეს მარტო აშკარა პლუსები როდი აქვს. ჩვენში ზამთარი მიიტაცებს ხოლმე შემოდგომისა და გაზაფხულის დიდ ნაწილს. ბევრი „საკუთარი“ პრობლემა აქვთ მეტყევეებსაც.**

**დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ტყეებს კოლმეურნეობების პირუტყვის უსისტემო ძოვება სუბალპურ ზონებში. ამის გამო ჯეროვნად ვერ წარმოვს ტყის განახლების სამუშაოები...**

**გაუთავებელი ინსტრუქციები და მითითებანი ხშირად ბორკავს ადგილობრივ ინიციატივას, აბრკოლებს მომწიფებული საკითხების სწრაფად და ოპერატიულად გადაჭრას.**

**აი მაგალითი. თითქოს აქ ორი აზრი არ უნდა იყოს: რაც ხელსაყრელია სახელმწიფოსთვის, ის ხელსაყრელია სატყეო მეურნეობისთვისაც. მაგრამ ინსტრუქცია გზას გვიღობავს.**

**ობიექტი, რომლის აშენებაც გადაწყვიტეთ, ჰაერივით გვჭირდება, პროდუქციაც ყველას სჭირდება. მაგრამ ჩიხში მოვექეცით.**

**ლოთობის** წინააღმდეგ გაჩაღებული უკომპრომისო ბრძოლის შედეგად ნაკლებად ნახავთ რესტორნებში მოქეიფეთა ღრიანცელსა და ხორხოცს. ზოგმა ბახუსის მოყვარულმა ჭაუა ჯერ კიდევ ვერ ისწავლა. სადგურ ხარაგაულს მილიციის სახაო პუნქტის უფროსმა, მილიციის კაპიტანმა გ. ჭყოიძემ და უბნის ინსპექტორმა თ. სახვაძემ ამას წინათ გამოაცალინეს, რომ საჩხერე-თბილისის მატარებლის მე-17 ვაგონის გამცილებელი სტეფანე აკოფაშვილი კარგად იყო გამომთვრალი. მატარებლით ნასვამი მგზავრობდნენ აგრეთვ